№ 4-1/R1105-16

"10" 08 2016 წ.

დადგენილება №001594
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.08.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 24 ივნისის №001594 მითითება და 2016 წლის 25 ივლისის №001594 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №206316388, დირ. კობა გილაშვილი (პირადი №01011002998), მის: ქ. თბილისი, ნავთლულის ქ. №41) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №92-ში (საკ. კოდი №01.14.11.033.006) შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2168485 AR1324797 01.09.2015წ. №2205689 AR1342359 29.09.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -2.90 ნიშნულზე „დ-დ" ღერძზე საპროექტო მონოლითური კედელი მონაცვლებულია „$გ^1$-$გ^1$ " ღერძისკენ. ასევე „3-3" ღერძზე საპროექტო კოლონები და მონოლითური კედელი მონაცვლებულია „2-2" ღერძისკენ და აღნიშნულ ნიშნულს შეცვლილი აქვს გაბარიტი. +0.00 ნიშნულზე „გ-გ" ღერძის გარეთ „$3-1^{11}$" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კედლის მასალა, გაბარიტი და მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა. „3-3" ღერძზე პილონები შებრუნებულია. „$ა^1$-$ა^1$" ღერძის გარეთ „1^{11}-1^{11}" ღერძზე შეცვლილია კედლის მასალა, გაბარიტი და მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ფილა. გაზრდილია მონოლითური ფილის გაბარიტი. 13.60 ნიშნულზე „1^1-1^1" და „$ბ^1$-$ბ^1$" ღერძების გადაკვეთასთან ლიფტისთვის განკუთვნილი ღიობი გაყოფილია ორ ნაწილად. „$გ^1$-$ბ^1$" და „1^1-1^{11}" მონაკვეთების გადაკვეთაზე სართულშუა გადახურვის მონოლითურ ფილაში ღიობს შემცირებული აქვს გაბარიტი. +3.60 ნიშნულიდან სართულებზე „$გ^1$-$გ^1$" ღერძის გარეთ „1^{11}-1^{11}" ღერძზე შემცირებულია რიგელის სიგრძე. +20.40 ნიშნულზე „1-3" და „ა-გ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაზრდილია მოხოლითური ფილის კონფიგურაცია და დამატებულია სართული. „1^1-1^1" და „$ბ^1$-$ბ^1$" ღერძების გადაკვეთასთან სართულებზე სართულშუა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გადახურვის მონლითურ ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობები. +23.70 ნიშნულზე „1-2" და „ა-ბ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია პერგოლა. „1-3" და „ა-გ" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებულია მონოლითური ფილა და არმატურის ნაშვერები. „$ა^{1}$-$ა^{1}$" ღერძის მიმდებარედ მარჯვნივ და მარცხნივ „1^{11}-1^{1}" მონაკვეთში დამატებულია მონოლითური ფილები. გაზრდილია სართულის სიმაღლე. „$ბ^{1}$-$ბ^{1}$" და „1^{11}-1^{11}" ღერძების გადაკვეთასთან გაუქმებულია მონოლითურ ფილაში ღიობი და კიბე. +25.90 ნიშნულზე კიბის დანაშენს გაზრდილი აქვს სიმაღლე, გაბარიტი, „1^{11}-1^{1}" და „$გ^{1}$-$ა^{1}$" მონაკვეთების გადაკვეთაზე და მის მიმდებარედ შეცვლილია მონოლითური ფილის კონფიგურაცია და მოწყობილია სართული. +26.75 ნიშნულზე „1^{1}-1^{1}" მონაკვეთში „$გ^{1}$-$გ^{1}$" ღერძთან დამატებულია მონოლითური კიბის ორი მარში. +28.60 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბის უჯრედის დანაშენი და არმატურის ნაშვერები. გარე პერიმეტრის ნაწილზე მოწყობილია გამაგრების მონოლითური კედელი. სართულებზე შეცვლილია პილონების რაოდენობა, ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილები და გაზრდილი აქვთ გაბარიტი. შეცვლილია კოლონების და რიგელების რაოდენობა. „1^{1}-1^{1}" მონაკვეთში „$გ^{1}$-$გ^{1}$" ღერძთან მონოლითურ კიბეს ნაწილობრივ შეცვლილი აქვს საფეხურების რაოდენობა. „1^{1}-1^{1}" და „$ბ^{1}$-$ბ^{1}$" ღერძების გადაკვეთასთან ლიფტისთვის განკუთვნილ ღიობების ნაწილს შეცვლილი აქვთ გაბარიტი და ფორმა. „1^{1}-1^{1}" ღერძზე „$გ^{1}$-$ბ^{1}$" მონაკვეთში გაუქმებულია, ხოლო „ბ-ბ" ღერძზე „^{1}-1^{1}" მონაკვეთში დამატებულია მონოლითური კედლები. გეგმები და ფასადები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 24 ივნისს შედგენილ იქნა მითითება №001594, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 25 ივლისს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001594, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2016 წლის 02 აგვისტოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის წარმომადგენელი დავით მახარაშვილი (პირადი №01007015782 რწმუნებულება/ მინდობილობა №111139634, რეგისტრირებული ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ 19.10.2011წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ აპირებენ საჯარიმო თანხის გადახდის შემდგომ პროექტის კორექტირებას. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №92-ში (საკ. კოდი №01.14.11.033.006) შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2168485 AR1324797 01.09.2015წ. №2205689 AR1342359 29.09.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ბანი 2007" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ბანი 2007"-ს დაეკალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის **დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ბანი 2007"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუჭხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე — მ. ჯაყელი

საგადასახადო დავალება
Payment Order

\# 0 GEL

თარიღი / Date: 30/08/2016

ს.ს. „თიბისი ბანკი"

№ 5

რეფერენსი / Ref. Num.
1425082551

გადამხდელი / sender
შპს 'ბანი 2007', 206316388

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account
GE73TB7356536050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank
სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code
TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name
შპს 'ბანი 2007', 206316388

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code
206316388

მიმღები / Receiver

ბაზრის ეროვნული ბანკი. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code
300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N 001594

თანხა / Amount
4,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee
1.6 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date
30/08/2016

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული სახსნო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში მეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

24/03/2017 1:01:53 PM

1425082551